ანალიტიკური წერა

IV ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქის ცენტრში პრესტიჟულ ადგილას მდებარე წიგნების მაღაზია განახლდა. დაიდგა წიგნების ახალი სტელაჟები, სადაც განთავსდა სხვადასხვა ასაკის მკითხველთათვის განკუთვნილი მხატვრული ლიტერატურა. მაღაზიაში ამასთანავე გაიხსნა კაფე. განახლების შემდეგ წიგნების მაღაზია უფრო პოპულარული გახდა და მისი შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამავე ქალაქის საბავშვო წიგნების მაღაზიის ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ მსგავსი ცვლილებების გატარება დადებითად იმოქმედებდა მათ ბიუჯეტზეც. ადმინისტრაციამ განახლებულ მაღაზიაში გახსნა კაფე, რის გამოც გადაკეთდა მაღაზიის ერთი ნაწილი, სადაც მანამდე იმართებოდა შეხვედრები საბავშვო მწერლებთან. ადმინისტრაციამ საბავშვო წიგნებთან ერთად მაღაზიაში შეიტანა უფროსებისათვის განკუთვნილი მხატვრული ლიტერატურაც.

ერთი თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საბავშვო მაღაზიის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მაღაზიის პოპულარობამ და შემოსავალმა კი არ იმატა, არამედ პირიქით, იკლო. საბავშვო მაღაზიის ადმინისტრაციამ დაასკვნა, რომ მის მიერ ჩატარებული ღონისძიებები არ აღმოჩნდა შედეგიანი.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ამგვარი შედეგი. შეაფასეთ მაღაზიის ადმინისტრაციის მიერ გამოტანილი დასკვნა.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

თანამედროვე ტელე-სერიალებისა და ვებ-სერიალების ყურება დროის ფუჭად დაკარგვაა. სერიალები ნაკლებად უწყობს ხელს ახალგაზრდა ადამიანის განვითარებას და უარყოფითად მოქმედებს მისი გემოვნების ჩამოყალიბებაზე.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.